სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

03 ივნისი, 2026 წ.

აკადემიური საბჭოს
დადგენილება № 06-01/104

„ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის №06-01/128 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 01 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“, „ბსუ-ს სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის სტრუქტურული რეორგანიზაციის თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საჭოს 2026 წლის 12 თებერვლის №07-01/03 გადაწყვეტილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დაადგინა:

1. „ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს **2023 წლის 30 ოქტომბრის №06-01/128 დადგენილებაში შევიდეს ცვლილება,** კერძოდ, დადგენილების **№1 დანართის** (ბსუ-ს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია):

ა) მე-3 მუხლის (,,სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და პროცედურები“) **3.4. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

,,3.4. სტრატეგიული <u>დაგეგმვის ჯგუფის</u> მუდმივი წევრებია - რექტორი, რექტორის მოადგილეები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, ფაკულტეტების დეკანები, ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკის დირექტორი, იურიდიული დეპარტამენტის უფროსი, სამეცნიერო კვლევების სამსახურის უფროსი, ფინანსური, მატერიალური, საინფორმაციო და ადამიანური რესურსების, ასევე სასწავლო და სტუდენტური სერვისების მართვაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების უფროსები, ასევე დროებითი წევრები - აკადემიური/სამეცნიერო/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების წევრების, დამსაქმებლების, სტუდენტების, კურსდამთავრებულების წარმომადგენლები.“;

ბ) მე-5 მუხლის („სტრატეგიული და განვითარების გეგმების შესრულების მონიტორინგი“) **5.5. და 5.6. პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„5.5. მონიტორინგის ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით. მონიტორინგის ჯგუფის ძირითადი (მუდმივი) წევრებია ადმინისტრაციული თანამდებობის პირები (რექტორი, რექტორის მოადგილეები, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსი, ასევე უნივერსიტეტის სხვა სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ბსუ-ს რექტორის ბრძანების შესაბამისად).

5.6. სტრატეგიული განვითარების სამსახური უზრუნველყოფს მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობის ადმინისტრირებას (შემდეგში - კოორდინატორი), წინამდებარე მეთოდოლოგიის შესაბამისად, მათ შორის: ამზადებს სამსახურებრივ ბარათებს (სტრატეგიული განვითარების/სამოქმედო გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიების შესრულების ვადების შესაბამისად სტრუქტურული ერთეულების/ანგარიშვალდებული პირების მიერ თვითშეფასების წარმოდგენის ან სხვა ქმედების შესრულების საჭიროების თაობაზე; წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტებს ამუშავებს და ამზადებს ინფორმაციას მონიტორინგის ჯგუფის მიერ განხილვისათვის; ამზადებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებთან, ასევე მათ მონიტორინგთან დაკავშირებით უნივერსიტეტის მართვის ორგანოების გადაწყვეტილებების საბოლოო პროექტებს და სხვა.“.

2. დადგენილება გამოქვეყნდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.

3. დადგენილება დაეგზავნოს ბსუ-ს მართვის ორგანოებს, რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულებს, სტრატეგიული განვითარების სამსახურს, საერთაშორისო ურთიერთობის სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და სხვა დამხმარე სტრუქტურულ ერთეულებს.

4. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის ქ. №30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი **ტიტე არუშიძე**